

## თანადაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

- ✘ განაცხადი (ფორმა იხილეთ - [www.moa.ge](http://www.moa.ge));
- ✘ განმცხადებლებისა და პროექტში მონაწილეების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლ(ებ)ი;
- ✘ ამონაწერი მენარმეთა და არასამენარმეო იურიდიული პირების რეესტრიდან (სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ა(ა)იპ-ის შემთხვევაში);
- ✘ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისა და არასამენარმეო იურიდიული პირის შემთხვევაში წესდება და კრების ოქმი ქვეპროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით, ერთობლივი საქმიანობის შემთხვევაში ხელშეკრულება;
- ✘ მიწის ნაკვეთის საკუთრების/ იჯარის დამადასტურებელი დოკუმენტი (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან), იჯარის შემთხვევაში ამონაწერთან ერთად წარმოდგენილი უნდა იყოს იჯარის ხელშეკრულება;
- ✘ თანასაკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის შემთხვევაში, ერთ-ერთი თანამესაკუთრე წარმოადგენს სხვა თანამესაკუთრეების თანხმობას ან / და ნოტარიულად დამოწმებულ მინდობილობას;
- ✘ სამინისტროს მოთხოვნის შემთხვევაში უფლებამოსილი პირის მიერ გაცემული შესასყიდი საქონლის საბაზრო ფასებთან შესაბამისობის დადებითი დასკვნა *(ხელშეკრულების გაფორმების ეტაპზე)*.

**სხვა დამატებითი დოკუმენტაცია, რომელთა საჭიროებასაც განსაზღვრავს სამინისტრო.**

## განაცხადები მიიღება შემდეგ მისამართებზე:

ქობულეთი	თავისუფლების ქ. №100
ბათუმი	აკადემიკოს მ. კომახიძის ქ. №119
ხელგანაური	დიდაჭარის ქ. №23
ქედა	26 მაისის ქ. №1
შუახევი	ს. ხიმშიაშვილის ქ. №2
ხულო	დ. აღმაშენებლის ქ. №3

### საკონტაქტო ინფორმაცია:

☎ +995 (422) 24 78 41

🌐 [www.moa.ge](http://www.moa.ge)

✉ [contact@moa.ge](mailto:contact@moa.ge)

📘 [fb.com/MinistryOfAgricultureOfAjara](https://fb.com/MinistryOfAgricultureOfAjara)

📍 საქართველო, 6010, ქ. ბათუმი, აკადემიკოსი მ. კომახიძის №119



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

სასოფლო - სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების ხელშეწყობა

მიიღე თანადაფინანსება სასოფლო - სამეურნეო საქმიანობისათვის!



# მიზანი

სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებებისა და საოჯახო მეურნეობების განვითარების მხარდაჭერა ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გზით.

# პრიორიტეტული მიმართულებები

მემცენარეობა:	მეცხოველეობა:	ტექნოლოგიური და ტექნიკური საშუალებები:
<ul style="list-style-type: none"> <li>• ნერგების შესყიდვა;</li> <li>• აგროქსოვილის შესყიდვა;</li> <li>• სარწყავი სისტემების შესყიდვა;</li> <li>• საყრდენი სისტემების შესყიდვა;</li> <li>• წარმოება-გადამუშავებისა თვის საჭირო დანადგარებისა და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• საკვებწარმოები სათვის და წარმოება - გადამუშავებისა თვის საჭირო დანადგარებისა და ტექნოლოგიური საშუალებების შესყიდვა;</li> <li>• ფერმების ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფა;</li> <li>• კლიმატის შემქმნელი ენერჯო მატარებლების შესყიდვა;</li> <li>• სამაცივრე დანადგარების შესყიდვა მოწყობა.</li> </ul>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა;</li> <li>• დამხმარე ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებები;</li> <li>• მისაბმელები;</li> <li>• სხვა ტიპის აგრეგატები.</li> </ul>

# ბიუჯეტი

პროექტების თანადაფინანსების თანხა - **1,267,943.00 ლარი.**

თანადაფინანსების ოდენობა - არანაკლებ - **500.00** და არაუმეტეს - **40,000.00 ლარი**, რაც პროექტის კამური ღირებულების **არაუმეტეს - 80%-ია**, ხოლო ბენეფიციარის თანამონაწილეობა - **არანაკლებ - 20%**.

**!** პროექტის თანადაფინანსება (სუბსიდირება) ერთეულ პროექტზე (ერთეულ საქონელზე, გარდა მრავალწლიანი სასოფლო-სამეურნეო კულტურების ბაღების გაშენების კომპონენტის ფარგლებში შესასყიდი საქონლისა (ნერგი, წვეთოვანი მორწყვის სისტემა, აგროქსოვილი და ა.შ.) შეადგენს არანაკლებ - 500.00 ლარს, არაუმეტეს - 40,000.00 ლარს.

# ქვეპროგრამის განხორციელების ეტაპები:

1. განაცხადის წარდგენა
2. განაცხადის ტექნიკური შესაბამისობის დადგენა
3. ადგილზე გასვლა და მონიტორინგი
4. მონიტორინგის შედეგების შეფასება
5. გამარჯვებული ბენეფიციარის გამოვლენა
6. ხელშეკრულების გაფორმება
7. ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგი

# არ ფინანსდება

- ✗ ცოცხალი ცხოველის შესყიდვა;
  - ✗ საწარმოში წილის კრედიტებისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა;
  - ✗ ღობის შესყიდვა-მოწყობა და პროექტით გათვალისწინებული სხვა საოპერაციო ხარჯების დაფარვა;
  - ✗ სასათბურე მეურნეობის მოწყობა, განახლება, აღჭურვა;
  - ✗ სამშენებლო მასალები, სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები;
  - ✗ საბრუნავი საშუალებები (ყველა სახის ნედლეული, სასაქონლო მატერიალური მარაგები, ზოოვეტერინალური მედიკამენტები, თესლი, სარგავი მასალა, მინერალური და ორგანული სასუქები, შხამქიმიკატები, საწვავ-საცხები, საწარმოო ზედნადები დანახარჯები და ა.შ.);
  - ✗ უძრავი ქონების, საწარმოში წილის და საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა;
  - ✗ ხარჯები, რომლებიც არ შეესაბამება პროექტის მიზნებს ან / და რომლის დადასტურება ვერ ხდება შესაბამისი დოკუმენტაციით.
- ## ქვეპროგრამაში მონაწილეობის უფლება არ აქვს:
- ✗ უცხო ქვეყნის მოქალაქე(ებ)ს;
  - ✗ მოქალაქეობის არ მქონე პირ(ებ)ს;
  - ✗ პოლიტიკურ პარტიებს და რელიგიურ ორგანიზაციებს;
  - ✗ საბანკო-საფინანსო ინსტიტუტებს;
  - ✗ იურიდიულ პირებს (გარდა კოოპერატივისა და ამხანაგობისა);
  - ✗ ორგანიზაციებს, რომლებიც ახდენენ სხვა პირების დისკრიმინაციას;
  - ✗ იურიდიული პირი, რომელშიც პირდაპირ ან ირიბად სახელმწიფო ფლობს წილს, პაის და ა.შ.

